

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თ.ბურჭულაძის  
ანგარიშის მოსმენის სხდომის  
ოქმი

2019წელი, 25 თებერვალი

სოფელი შემოქმედი

13.00-15.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დ. დარჩია -საკრებულოს თავმჯდომარე .

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ თ.ბურჭულაძე არის საკრებულოს პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგურალურად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა თ.ბურჭულაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.


ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფლების შიდა გზების სრულად რეაბილიტაცია, რომელსაც მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ თ.ბურჭულაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, გამოთქვამს აზრს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომ გადასაწყვეტ პრობლემებზე, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო